

განათლება

ზრდისა და განვითარების სამიწველი



კომაბას კამპუსი, ტოკიოს უნივერსიტეტი

საკითხის ისტორია

იაპონიის განათლების სისტემამ ცენტრალური როლი ითამაშა ქვეყანაში ახალი ეპოქის გამოწვევების დაძლევის საქმეში, როგორცაა მეიჯის პერიოდში (1868–1912) იაპონელების მიერ დასავლური იდეების სწრაფი გათავისება, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარება და სხვ. იაპონიის აღორძინებისა და სწრაფი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან მოყოლებული, ათწლეულების მანძილზე, იყო განათლება.

XXI საუკუნის დასაწყისში, იაპონური საზოგადოება კულტურული ნორმების შეცვლით, მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში წინსვლით, ეკონომიკის გლობალიზაციითა და რთული ბიზნეს-გარემოს შექმნით ბევრი ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. იაპონური განათლების გადამწყვეტი დანიშნულება გახდა ისეთი ახალგაზრდობის აღზრდა, რომელიც თავს გაართმევდა ახალ გამოწვევებს. დღესაც, იაპონიის მთავრობაში, საგანმანათლებლო წრეებსა თუ საზოგადოებაში დიდი განსჯის თემად რჩება თუ რა კონკრეტული მიმართულება უნდა იქნეს არჩეული ამ დასახული მიზნის მისაღწევად.

წერა-კითხვის ცოდნა იაპონიაში, გარკვეული ფორმით, არსებობდა ჯერ კიდევ ჩინური დამწერლობის შემოღებისა და ბუდიზმის შემოსვლისას VI საუკუნეში. 701 წელს ტაიჰოს კოდექსზე დაყრდნობით დაარსებულ იქნა დიდგვაროვანთა შვილების სასწავლებლები, როგორც დედაქალაქში, ასევე პროვინციებში. კამაკურას პერიოდის დასაწყისისთვის (1185-1333), სამურაების შვილების მზარდმა რაოდენობამ მიიღო ოფიციალური განათლება, მაგრამ მხოლოდ ედოს პერიოდში (1603-1868) დამყარებულ 265-წლიანი მშვიდობისას მოხერხდა განათლების თანაბრად გავრცელება საზოგადოების ელიტურ და უბრალო ფენებში.

განათლება ედოს პერიოდში ძირითადად ეყრდნობოდა კონფუციისეულ წარმოდგენებს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩინელ კლასიკოსთა შრომების დახეპირებასა და ცოდნას. განვითარდა ორი ძირითადი სკოლა. პირველი იყო ე. წ. სამფლობელოების სკოლები (*ჰანკო*), რომლის სრულმა რაოდენობამ 270-ს მიაღწია და თავდაპირველად განათლებას აძლევდა მხოლოდ სამურაის კლასის ბავშვებს. მეორე ტიპი გახლდათ *ტერაკოია* სკოლები, რაც განათლებას აძლევდა როგორც სამურაების, ისე ჩვეულებრივ მოქალაქეთა შვილებს. აქ მოსწავლეები გადიოდნენ მორალურ წვრთნას, სწავლობდნენ წერას, კითხვასა და არითმეტიკას. *ტერაკოიებს* მართავდა ერთი მასწავლებელი ან ცოლ-ქმარი და ედოს პერიოდის მიწურულისთვის უკვე ათიათასობით ამგვარი სასწავლებელი არსებობდა.

იაპონიის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 1868 წელს ტოკუგავას *შიოგოუნატის* დამხობის დროისთვის აღემატებოდა იმდროინდელი ეპოქის ევროპულ ქვეყნებში არსებულ შესაბამის მაჩვენებელს. ამ საგანმანათლებლო საძირკველის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ის სწრაფი მოდერნიზაცია, რასაც იაპონიამ მოგვიანებით მიაღწია.

მეიჯის ლიდერები სწრაფად მოქმედებდნენ, რათა ახალი საგანმანათლებლო სისტემა შეექმნათ, რადგანაც ის წარმოადგენდა მათი მცდელობების გამართლებისთვის საჭირო უმინიმუმელოვანეს საშუალებას - დაწოდონ დასავლეთს და წინ წამოეწიათ ეროვნული მთლიანობა. შემოიღეს სამსაფეხურიანი განათლების სისტემა: დაწყებითი სკოლა, საშუალო სკოლა და უნივერსიტეტი. ამასთან, დაწყებითი განათლების მიღება თანაბრად სავალდებულო გახდა გოგონებისთვისაც და ვაჟებისთვისაც.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1947 წელს საოკუპაციო ძალების ხელმძღვანელობით გამოვიდა ძირითადი კანონი განათლების შესახებ და სასკოლო განათლების კანონი. ამ უკანასკნელის მიხედვით განსაზღვრული სასკოლო სისტემა, რომელიც მოიცავს ექვსწლიან დაწყებით განათლებას, სამწლიან უმაღლესი სკოლის ჯუნიორთა და სამწლიან უმაღლესი სკოლის პროგრამებს და ორ ან ოთხწლიან საუნივერსიტეტო განათლებას, დღესაც გამოიყენება. ამასთან, დაწყებითსა და ჯუნიორთა უმაღლეს სკოლაში დასწრება სავალდებულოა. იაპონიაში არის საბავშვო ბაღები (დასწრება შესაძლებელია ერთიდან სამ წლამდე), ხუთწლიანი ტექნიკური კოლეჯები ჯუნიორთა უმაღლესი სკოლის

კურსდამთავრებულთათვის, სპეციალური სატრენინგო სკოლები ჯუნიორთა უმაღლესი და უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთათვის და ასევე სპეციალური სკოლები ფიზიკური ნაკლის მქონე პირებისთვის. უნივერსიტეტები მოიცავენ საბაკალავრო კოლეჯებს, ჯუნიორთა კოლეჯებსა და ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა სკოლებს.

სკოლები და სასწავლო პროგრამები

სასკოლო კალენდარი: იაპონიაში დაწყებითი, ჯუნიორთა უმაღლესი და უმაღლესი სკოლების უმეტესობისთვის სასწავლო წელი იწყება 1-ელ აპრილს და იყოფა სამ პერიოდად: აპრილიდან ივლისამდე, სექტემბრიდან დეკემბრამდე და იანვრიდან მარტამდე. ზოგიერთ სკოლას აქვს ორსემესტრიანი გრაფიკი. 2002 წელს დასრულდა ექვსდღიანი სასწავლო კვირის ხუთდღიანზე თანდათანობით გადასვლა. ბევრი კერძო სკოლა კი განაგრძობს შაბათის გაკვეთილების ჩატარებას. ბოლო დროს, ზოგიერთმა საჯარო სკოლამ მოიპოვა კიდევ განსაკუთრებული უფლება კვლავ შემოიღოს შაბათის გაკვეთილები, რადგან მეტი დროა ხშირად საჭირო სავალდებულო საგნების სწავლისთვის.

სკოლები და საკურსო გზამკვლევები: განათლების, კულტურის, მეცნიერების, სპორტისა და ტექნოლოგიის სამინისტრო ამზადებს ძირითად სასწავლო პროგრამებს, რომელიც მოიცავს იაპონურ სკოლაში შესასწავლი ნებისმიერი საგნის ძირითად სქემასა და თითოეულ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლების ამოცანებსა თუ სასწავლო მასალას. დაახლოებით ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ეს პროგრამები ექვემდებარება გადახედვას და გამოიყენება მთელი ქვეყნის სკოლებში.

სასკოლო სახელმძღვანელოები: ყველა დაწყებითი, ჯუნიორთა უმაღლესი თუ უმაღლესი სკოლა ვალდებულია გამოიყენოს განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტროს მიერ შეფასებული სახელმძღვანელოები. ამ ოფიციალური ავტორიზაციის სისტემის (შეიქმნა 1886 წელს) მიზანია განათლების სტანდარტიზაცია და რელიგიურ და პოლიტიკურ საკითხებზე სამართლიანობისა და ნეიტრალიტეტის შენარჩუნება. 1963 წელს შეიქმნა სავალდებულო განათლებისთვის აუცილებელი სახელმძღვანელოების უფასოდ გავრცელების სისტემა. სახელმძღვანელოები, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ ცალკეულ რაიონში, სადაც მდებარეობს საჯარო სკოლა, უშუალოდ შერჩეულია ამავე რაიონის განათლების პრეფექტურული საბჭოს რეგენზიაზე დაყრდნობითა და მთავრობის მიერ სახელდებული კანდიდატების მიერ, რომლებიც შედიან განათლების ადგილობრივ საბჭოში. კერძო სასწავლებლებში კი სკოლის დირექტორს აქვს უშუალო პასუხისმგებლობა აირჩიოს სასურველი სახელმძღვანელოები.

სკოლამდელი განათლება: დაწყებით სკოლებამდე განათლებას გასცემს: საბავშვო ბაღები (*იოჩიენ*) და ბავშვთა მოვლის დაწესებულებები (*ჰოიკუენ*). საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში

მიიღებინ ერთი წლიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები. მათი პროგრამები სამიდან ხუთ წლამდე ბავშვებისთვის იგივეა, რაც საბავშვო ბაღებში. ამ დაწესებულებების დაახლოებით 60% კერძოა. ხუთი წლის ბავშვებიდან საბავშვო ბაღებსა თუ დღის ბავშვთა მოვლის დაწესებულებებში იაპონიის ბავშვების 95 % დადის. საგანმანათლებლო მიდგომები ბავშვებისადმი საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან საბავშვო ბაღებში: არის ისეთი დაწესებულებები, რომელთა სასწავლო გარემო მოკლებულია სტრუქტურას და არ გამოირჩევა ფორმალური სწავლებით და ისეთიც, სადაც გარემო უმაღლეს დონეზეა მოწესრიგებული და კონცენტრირებული არიან მხოლოდ ბავშვის გონებრივ ვარჯიშზე.



დაწყებითი სკოლის ბავშვები (ფოტო Getty Images-სგან)

დაწყებითი სკოლები: ექვსწლიან დაწყებით სკოლაში დასწრება სავალდებულოა. ასეთი სკოლების 99% წარმოადგენს საყოველთაო საჯარო დაწესებულებას. თითოეული კლასისთვის დანიშნულია ერთი მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ყველა საგანს, მუსიკისა და ხელოვნების გამოკლებით. 2011 წლისთვის პირველ კლასში მოსწავლეების დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა იყო 35 და დანარჩენი კლასებისთვის - 40 ბავშვი. ძირითადად, კლასები არ იყოფა მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაბამისად, კლასების დაყოფა განპირობებულია ამა თუ იმ

საგნის სირთულესთან, როდესაც მოსწავლეებმა უნდა მიაღწიონ წარმატებას მისი შესწავლისას. სასწავლო პროგრამა მოიცავს შემდეგ საგნებს: იაპონური ენა, სოციალური მეცნიერებები, მუსიკა, კულტურა და ხელოვნება, ფიზიკური განათლება და საოჯახო მეურნეობა. სასწავლო მოთხოვნებში შედის ექსტრაკურსულარული აქტივობები, მორალური განათლების კურსი, ინტეგრირებული განათლება, რაც თავის მხრივ შეიძლება მოიცავდეს თემათა მთელ რიგ სპექტრს (საერთაშორისო ურთიერთგაგება, გარემო, ნებაყოფილობითი სამუშაო და სხვ.) კითხვა და წერა არის სასწავლო კურიკულუმის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, ორი იაპონური მარცვლოვანი დამწერლობის მხარდამხარ, მოსწავლეებს მოეთხოვებათ სულ მცირე 1006 ეროვლიფის შესწავლა მეექვსე კლასის დამთავრებამდე.

ჯუნიორთა უმაღლესი სკოლები: სამწლიან ჯუნიორთა უმაღლეს სკოლაში სწავლა სავალდებულოა. ჯუნიორთა უმაღლესი სკოლების 90%-ზე მეტი წარმოადგენს საყოველთაო საჯარო დაწესებულებას. ყოველწლიურად მოსწავლეების ჩარიცხვა ხდება მაქსიმუმ 40 მოსწავლისგან შემდგარ კლასში (2010 წლისთვის მოსწავლეთა რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 29.4 %-ს), ვისთან ერთადაც ისინი შემდგომში განაგრძობენ სწავლას. ძირითადად, კლასი არ იყოფა მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობების მიხედვით, მაგრამ ზოგიერთ სკოლაში არის კლასების განაყოფებად დაყოფის სიტემა მათემატიკასა და ინგლისურში. სტანდარტული კურიკულუმი მოიცავს შემდეგ საგნებს: იაპონური ენა,



უმაღლესი სკოლის სტუდენტი გოგონები სწავლის პროცესში (ფოტო Getty Images-სგან)

სოციალური მეცნიერებები, მათემატიკა, მეცნიერება, არჩევითი უცხო ენა (თითქმის ყოველთვის ინგლისური), მუსიკა, სახვითი ხელოვნება, ჯანმრთელობა და ფიზიკური განათლება, საოჯახო მეურნეობა თუ მრეწველობა. სასწავლო მოთხოვნებში შედის ასევე ექსტრაკურიკულარული აქტივობები: მორალური განათლების კურსი და ინტეგრირებული სწავლება.

უმაღლესი სკოლები: უმაღლეს სკოლებში დასწრება არჩევითია. 2010 წლისთვის, იაპონიის ყველა ჯუნიორთა სკოლის

კურსდამთავრებულთა 98%-მა სწავლა განაგრძო უმაღლეს სკოლებში, რომელს დაახლოებით 74% იმ დროისთვის იყო საჯარო. უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვა ხდება გამოცდების მეშვეობით. ჩარიცხვისას ყველაზე დიდი კონკურსი არის პრივილიგიერებულ სკოლებში. მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ გაერთიანებულ ჯუნიორთა და უმაღლეს სკოლებში, თავიდან იცილებენ უმაღლესი სკოლების მისაღები გამოცდების წნებს, მაგრამ ჯერჯერობით იაპონიაში საჯარო სასკოლო სისტემაში ასეთი გაერთიანებული სკოლები მცირე რაოდენობით გვხვდება. უმაღლესი სკოლების ძირითადი კურიკულუმები მოიცავს შემდეგ საგნებს: იაპონური ენა, გეოგრაფია და ისტორია, სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, მათემატიკა, მეცნიერება, ჯანმრთელობა და ფიზიკური აღზრდა, ხელოვნება, უცხო ენა, საოჯახო ეკონომიკა და ინფორმაცია. სასწავლო მოთხოვნებში შედის ექსტრაკურიკულარული აქტივობები და ინტეგრირებული სწავლება. სპეციალური პროფესიული პროგრამების სტუდენტები ასევე ირჩევენ კურსებს მათი სასწავლო სფეროების მიხედვით (ბიზნესი, ინდუსტრიული ხელოვნება, სოფლის მეურნეობა და ა.შ.) და ამასთან, თანატოლ სხვა სტუდენტებთან შედარებით, მათ უწევთ ნაკლები დროის ხარჯვა ზოგადი კურიკულუმის კურსებზე.

დღეს თითქმის ყველა ჯუნიორთა უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული აგრძელებს უმაღლეს სკოლაში სწავლას, მიუხედავად იმისა, სურთ თუ არა ან მზად არიან თუ არა, რომ ისწავლონ. ამის გამო უმაღლესი სკოლები ეძებენ ახალ გზებს, სტუდენტთა სწავლისადმი ინდეფერენტულობისა და მათ მიერ სწავლაზე თავის დანებების შემთხვევების შესამცირებლად. ამ მცდელობის შედეგია ის, რომ უმაღლესი სკოლის ახალი და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მოდელებია შექმნილი, რათა უკეთესად მიაქციონ ყურადღება სტუდენტთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. ასეთი ახალი მოდელების ნიმუშებს წარმოადგენს: 1) კრედიტების სისტემაზე დამყარებული უმაღლესი სკოლები, სადაც სკოლის დამთავრება ეყრდნობა უფრო დაგროვილ კრედიტებს, ვიდრე სტუდენტის მიერ განვლილი განსაზღვრული აკადემიური წლების სრულ ერთობლიობას და 2) ინტეგრირებული პროგრამების მქონე სკოლები, სადაც სტუდენტები უფრო თავისუფალნი არიან აირჩიონ საგნები

მათი ინდივიდუალური ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. დღეს თითქმის ყველა ჯუნიორთა უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული აგრძელებს უმაღლეს სკოლაში სწავლას, მიუხედავად იმისა, სურთ თუ არა ანდა მზად არიან თუ არა, რომ ისწავლონ. ამის გამო უმაღლესი სკოლები ეძებენ ახალ გზებს, სტუდენტთა სწავლისადმი ინდეფერენტულობისა და მათ მიერ სწავლაზე თავის დანებების შემთხვევების შესამცირებლად. ამ მცდელობის შედეგია ის, რომ უმაღლესი სკოლის ახალი და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მოდელებია შექმნილი, რათა უკეთესად მიაქციონ ყურადღება ინდივიდუალურ სტუდენტთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს. ასეთი ახალი მოდელების ნიმუშებს წარმოადგენენ კრედიტებზე დამყარებული უმაღლესი სკოლები, სადაც სკოლის დამთავრება ეყრდნობა უფრო დაგროვილ კრედიტებს, ვიდრე სტუდენტის მიერ განვლილი განსაზღვრული აკადემიური წლების სრულ ერთობლიობას და ინტეგრირებული პროგრამების მქონე სკოლები, სადაც სტუდენტები უფრო თავისუფალნი არიან აირჩიონ საგნები მათი ინდივიდუალური ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტები: იაპონიის უმაღლეს სკოლათა კურსდამთავრებულების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც სურდათ სწავლის გაგრძელება ორწლიან ჯუნიორთა კოლეჯში ან ოთხწლიან უნივერსიტეტში გასცდა 41%-ს 1993 წელს და 2012 წლისთვის მიაღწია 53.6%-ს. აქედან, 2012 წლისთვის, მარტო ოთხწლიან უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში შემსვლელთა მაჩვენებელი იყო 47.7%. ჯუნიორთა კოლეჯის სტუდენტთა უმეტესობა არიან ქალები. უნივერსიტეტების 77% და ჯუნიორთა სკოლების 93.1% არის კერძო. 2012 წელში ოთხწლიანი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა 13.8% გადავიდა ბაკალავრის შემდეგი საფეხურის სწავლებაზე.

ამომწურავი რეფორმების სერიები გატარდა იაპონურ საუნივერსიტეტო სისტემაში, განსაკუთრებით რადიკალური იყო ეროვნული საუნივერსიტეტო სისტემის ცვლილებები. 2004 წელს, დაახლოებით 99 ეროვნული უნივერსიტეტის რეორგანიზება მოხდა 87 ინსტიტუტად. ამასთან, ეროვნული უნივერსიტეტები, რომელიც მანამდე წარმოადგენდა განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტროს შემადგენელ ნაწილს, გარდაიქმნა დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ დაწესებულებებად იმ მიზნით, რომ შექმნილიყო უფრო კონკურენტუნარიანი და დამოუკიდებელი გარემო, სადაც უნივერსიტეტები შეძლებდნენ კერძო სექტორის მართვის ტექნოლოგიების შემოღებასა და გამოიმუშავებდნენ საკუთარ ძალებს, როგორც განათლების სფეროში ასევე მეცნიერების მიმართულებით. იმისთვის, რომ აღეზარდათ ადამიანები საზოგადოებისთვის საჭირო ექსპერტიზათა ფართო სპექტრის შესაბამისად, უნივერსიტეტებმა შექმნეს ახალი მასპეციალიზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლები ბიზნესსა და სამართალში.

უცხოელ სტუდენტთა რიცხვი იაპონურ უნივერსიტეტებში, ჯუნიორთა და უმაღლეს საგანმანათლებლო სკოლებში განაგრძობს ზრდას. მათმა რაოდენობამ ჯუნიორთა და უმაღლეს საგანმანათლებლო სკოლებში 2012 წლისთვის 137,756-ს მიაღწია. ამ სტუდენტთა დაახლოებით 92.3% - აზიელია.

მოსამზადებელი სკოლები: მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სკოლები არ შეადგენენ ძირითადი საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს, აკადემიური *გაკუშიუჯუკუ* და *იობიკო* სკოლები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ იაპონიის განათლების საქმეში. *იობიკო* სკოლები მკაცრად არიან კონცენტრირებული სტუდენტების საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდებისთვის მომზადებაზე, ხოლო *გაკუშიუჯუკუ* სკოლები მიზნად ისახავს მოსწავლეების ზოგად დახმარებას ყოველდღიური სასკოლო მასალის დასაძლევად და ცოდნის გასაღრმავებლად და ამასთან ამზადებს მათ უნივერსიტეტის მისაღები გამოცდებისთვის.

განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტროს 2008 წლის ფისკალური მონაცემებით, აკადემიურ *გაკუშიუჯუკუ* სკოლებს ესწრება საჯარო დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა 25.9% და საჯარო უმაღლესი სკოლების - 53.5%.

რეფორმის გამოწვევები

იაპონიის საგანმანათლებლო სისტემა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთთანამშრომლობას, ჯგუფურ დისციპლინასა და სტანდარტების შესაბამისობას. ის პირნათლად ემსახურება ქვეყანას კვალიფიცირებული ინდუსტრიული სამუშაო ძალის მიწოდებაში, რამაც იაპონია გლობალურ ეკონომიკურ ძალად აქცია XX საუკუნეში. ამ სისტემის წარმატება იმაშიც ამდგომარეობს, რომ იაპონელი ხალხის უმრავლესობა საშუალო კლასის წარმომადგენლად მოიაზრებს საკუთარ თავს და განათლებას მიიჩნევს გზად საკუთარი შვილების კეთილდღეობისკენ.

2006 წელს იაპონიის მთავრობამ მიიღო პირველი შესწორება 1947 წლის ძირითად განათლების კანონში. ეს შესწორება მოიცავდა პირობებს, რომელიც მოუწოდებდა განათლებას გაეღვივებინა სახალხო სულიერება, ტრადიციებისა და კულტურის პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული. გადაიხედა მითითები კურიკულუმთა გზამკვლევებში და 2008 წელს დაემატა ცვლილებები ფუნდამენტური განათლების გასაუმჯობესებლად, რაც ასევე მოიცავდა ბაზისური ცოდნისა და სპეციალობების წახალისებასა და საკლასო საათების რაოდენობის გაზრდას. კურიკულუმის ახალი გზამკვლევი გამოვიდა დაწყებითი სკოლებისთვის 2012 წელს და ჯუნიორთა უმაღლესი სკოლებისთვის - 2013 წელს.

1949 წელს იუკავა ჰიდეკი გახდა პირველი იაპონელი ნობელის პრემიის ლაურეატი, რომელმაც მიიღო ჯილდო ფიზიკაში მეზოტრონების არსებობის წინასწარ განჭვრეტისთვის. მას მოჰყვა ესაკი რეონა, 1973 წლის ფიზიკის ჯილდოს მფლობელი, შემდეგ ტონეგავა სუსუმუ - პრემიით ფიზიოლოგიასა და მედიცინაში 1987 წელს, ოე კენძაბურო - პრემიით ლიტერატურაში 1994 წელს. უახლოეს წარსულში კი იაპონელებმა ერთმანეთის მიყოლებით მიიღეს ნობელის პრემია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

2002 წელს, კოშიბა მასატომი (ტოკიოს უნივერსიტეტი) გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკაში. სუძუკი აკირამ (ჰოკაიდოს უნივერსიტეტი) და ნეგიში ეიჩიმი (ტოკიოს



უნივერსიტეტი) მიიღეს ჯილდოები ქიმიაში 2010 წელს. ასევე, იამანაკა შინიამ (კიოტოს უნივერსიტეტი) მიიღი პრემია ფიზიოლოგია-მედიცინაში 2012 წელს, iPS უჯრედის განვითარებისთვის. მარტო 2008-დან 2010 წლამდე, ექვს იაპონელს მიენიჭა ფიზიკასა და ქიმიაში ნობელის პრემია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მიღებული უმაღლესი ჯილდო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იაპონია მიზნად ისახავს გახდეს მსოფლიო ლიდერი მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში.